ოქმი №1/2016 გადაწყვეტილებით
თჰუ რექტორის 2016 წლის 06.02. N17/07 ბრძანებით
განხილულია
თჰუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 თებერვლის №02/2017 /გადაწყვეტილებით
დამტკიცებულია თჰუ რექტორის 2017 წლის 10 თებერვლის N 17/01 ბრძანებით
მოდიფიცირებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 03 სექტემბრის N13 გადაწყვეტილებით
მოდიფიცირებულია 2023 წლის 1 მარტი N4

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: *ფსიქოლოგია*

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

აკადემიური ხარისხი: *ფსიქოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Psychology*

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა: ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის ხელმძღვანელი: ეკატერინე სულუხია, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. ტელ.: 577 948 413, ელ. ფოსტა: ekasulukhia@gmail.com (იხ.დანართი 3).

პროგრამის სტრუქტურა: თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამით ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **30 (ECTS) კრედიტი -** საუნივერსიტეტო საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები;
- **5 (ECTS) კრედიტი -** საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი;
- **5 (ECTS) კრედიტი -** დამხმარე სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსი;
- **135 (ECTS) კრედიტი -** სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, მათ შორის 10 **(ECTS)** კრედიტი გათვალისწინებულია პრაქტიკისა და 10 **(ECTS)** კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისთვის;
- **45 (ECTS) კრედიტი -** სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები;

20 (ECTS) კრედიტი – თავისუფალი სასწავლო კურსები (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან).

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ჩაბარებული აქვს ინგლისური. გერმანული ან რუსული ენა. ამასთან, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგნად განსაზღვრულია გამოცდა ბიოლოგიაში, მათემატიკაში, ისტორიაში.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით.
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან:

უნივერსიტეტის დაკვეთით ჩატარდა დასაქმების ბაზრის კვლევა (იხ. დანართი 5). კვლევის მიზანი იყო შეგვეფასებინა ერთის მხრივ იქნება თუ არა მოთხოვნა სტუდენტების მხრიდან ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და მეორეს მხრივ, იქნება თუ არა დასაქმების ბაზარზე მოთხოვნა იმ პოზიციებზე სადაც საჭიროა ფსიქოლოგის კვალიფიკაცია.

კვლევის შედეგი ცხადყოფს ფსიქოლოგის პოზიციაზე/პროფესიაზე მზარდ საკადრო მოთხოვნას. ფსიქოლოგის საჭიროება უახლოეს პერიოდში შენარჩუნდება და შესაძლოა გაიზარდოს შემდეგ სექტორებში:

- სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო დაწესებულებები
- ზოგადსაგანმანათლებლო საგანმანათლებლო დაწესებულებები
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებში
- სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან მომუშავე ორგანიზაციებში
- ზრუნვაზე ორიენტირებულ დაწესებულებებში
- ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებში
- საშუალო და დიდი ზომის ბიზნეს ორგანიზაციებში (როგორც HR ან ორგანიზაციული ფსიქოლოგი)
- ინდივიდუალური კონსულტირება (ფსიქიკური კორექცია, ფსიქოთერაპია).

პროგრამის აქტუალობა:

თანამედროვე საზოგადოებაში ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და საქმიანი ცხოვრების რიტმის ინტენსივობის ფონზე, სულ უფრო აქტუალური ხდება ფსიქოლოგის პროფესია. ეს

განსაკუთრებით იგრძნობა საგანმანათლებლო თუ სხვა სპეციალური დანიშნულების დაწესებულებებში, ჯანდაცვის სფეროში, სარეკლამო და PR ინდუსტრიაში; აშკარად აღინიშნება მოთხოვნა ფსიქოლოგის კონსულტაციებზე. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია სხვადასხვა სახის ორგანიზაციების განვითარება ფსიქოლოგიის მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად, სულ უფრო იზრდება მოთხოვნა ისეთ პერსონალზე, რომელიც ფლობს საბაზისო თეორიულ ცოდნას ფსიქოლოგიური დარგების ძირითად დისციპლინებში და გამომუშავებული აქვთ ისეთი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც ეფუძნება პიროვნებისადმი მთლიანობით მიდგომას, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის პრინციპებსა და განწყობის კანონზომიერებებს. .

პროგრამა უზრუნველყოფს ფართო სპექტრის პრაქტიკოსი-ფსიქოლოგის მომზადებას, რომელიც დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხონას კვალიფიციურ ფსიქოლოგიურ მომსახურებაზე.

პროგრამის მიზნები:

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია**:**

1. გააცნოს სტუდენტს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია;
2. მისცეს მას ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის დარგის ფუნდამენტური ცნებების, პრინციპებისა და კანონზომიერებების შესახებ;
3. განუვითაროს მას სამეცნიერო წყაროების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარი;
4. პროფესიული საქმიანობისას იმოქმედოს ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში;
5. კურსდამთავრებულს განუვითაროს და დაუხვეწოს კომუნიკაციის უნარი, როგორც პროფესიულ ასევე ზოგად სფეროში, რათა მან შეძლოს სხვადასხვა სახის კუმუნიკაციიდან მიღებული ინფორმაციის ადეკვატურად აღქმა და საკუთარი პოზიციის ზეპირი და წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება;
6. კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს და განუვითაროს თანამედროვე ტექნოლოგიების ყოველდღიურ საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობაში გამოყენების უნარები.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანები სრულიად მიღწევადია და შესაბამისობაშია სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან. იგი უზრუნველყოფს საქართველოს შიდაეროვნული შრომის ბაზარის, დამსაქმებელთა მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის, სათანადო კომპესტენციისა და კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგიის დარგის სპეციალისტების მომზადებას.

პროგრამის სწავლის შედეგები:

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც ადასტურებს რომ კურსდამთავრებულს გააჩნია სათანადო თეორიული მომზადება და პრაქტიკული მზაობა ფსიქოლოგიის მიმართულებით.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (საუნივერისტეტო, სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი) შინაარსი, სწავლის და სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

ცოდნა და გაცნობიერება:

ფსიქოლოგიის ბაკალავრს აქვს:

1. ფსიქოლოგიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიაში არსებული თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, ის აცნობიერებს თავისი პროფესიის არსსა და სოციალურ მნიშვნელობას, ფსიქოლოგის პროფესიული საქმიანობის მიზნებსა და ძირითად ფუნქციებს.
2. ცოდნა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის შესახებ; იცნობს ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებს, თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ აღმოჩენებს; იცის ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა; იცნობს ფსიქოლოგიური კვლევის ძირითად მეთოდებს; იცნობს ფსიქოლოგიის ძირითად თეორიებს და ფსიქოლოგიის ძირითად დარგებს (სოციალური, პიროვნების, განვითარების, განათლების, კლინიკური, განწყობის და სხვ.).
3. სათანადო ცოდნა კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის (SPSS) გამოსაყენებლად; შეძლებს კვლევის მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებას ბაზისურ დონეზე.

უნარები:

ფსიქოლოგიის ბაკალავრს შეუძლია:

4. ფსიქოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
5. მცირე მასშტაბიანი ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება, საკვლევი ჯგუფების შერჩევა, საჭირო ლიტერატურის ანალიზი, ინფორმაციის მოგროვება და მონაცემთა პირველადი დამუშავება, თეორიული თუ ემპირიული/ექსპერიმენტული კვლევითი პროექტის სხვადასხვა კომპონენტის გათვალისწინებით; კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ხელმძღვანელობით/რეკომენდაციებით მათი გადაჭრა. შეგრძნების, აღქმისა და ყურადღების ფუნქციონირების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის გამოყენება; კლინიკურ-ფსიქოლოგიური დიაგნოსტირება და მიღებული შედეგის შეფასება; ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენება სხვადასხვა საკითხის (პიროვნული, სოციალური თუ ორგანიზაციული) მიმართ;
6. ფსიქოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე, განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი ფსიქოლოგიაში აღიარებული და აპრობირებული სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით; დასაბუთებული და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება;
7. ფსიქოლოგიაში არსებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის გადაცემა, ქართულ და ერთ-ერთ უცხოურ ენაზე (ინგლისური, რუსული ან გერმანული B2 დონეზე), თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (IT) თავისუფლად გამოყენება, რა ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.

8. პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით შეძლებს საკუთარ საქმიანობას და ეფექტიან კომუნიკაციას კოლეგებთან, მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან და ფართო საზოგადოებასთან; საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას და განხორციელების ხელშეწყობას. განსაზღვრავს საკუთარი კომპეტენციის არეალს, პროფესიული საქმიანობისას მოქმედებს ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს ფსიქოლოგიის დარგის საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას, კერძოდ:

9. კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვას და მასზე პასუხისმგებლობის აღებას. საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელებას.
10. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას და განხორციელების ხელშეწყობასსაკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელებას.

დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები:

საბაკალავრო განათლების მიღების შედეგად ფსიქოლოგიის ბაკალავრს შეუძლია გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურაში; იმუშაოს სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციაში: სკოლაში, ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრებში, სამედიცინო დაწესებულებებში, საწარმოებსა და ოფისებში ასისტენტ ფსიქოლოგად, დასაქმების ადგილას მომუშავე პროფესიონალი ფსიქოლოგის ხელმძღვანელობით. აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის კომპეტენციები აგრეთვე შესატყვისია ორგანიზაციათა ადმინისტრაციული, ადამიანის რესურსების მართვის და მომსახურების სფეროს მუშაკებისთვის.

პროგრამის სტრუქტურა:

იხ. დანართი 1

სწავლა-სწავლების მეთოდები:

ლექცია, შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი თემის არსის გაგება, რაც გულისხმობს მიწოდებული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი ლექტორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ.

მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ლექტორი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში თეორიული მასალის გამოყენების უნარის ფორმირება, რაც თავის მხრივ თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევის გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, მათ შესრულებაზე და სხვ.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის.

სწავლება-სწავლის შესაბამისი აქტივობებია:

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი განუვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;

ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;

შემთხვევის ანალიზი (Case study) – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს;

გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;

ბ)დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;
პრეზენტაცია - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.
ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ხელნაწერის დამუშავება.
პროექტის შემუშავება -პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, საწარმოო პრაქტიკა.
საწარმოო პრაქტიკა არის სავალდებულო კომპონენტი და პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ–ჩვევების გამომუშავებაზე. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობის სფეროში სტუდენტის არგუმენტაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი, ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისთვის გამოიყენება სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, კერძოდ: წიგნზე მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ნაშრომის თემასთან დაკავშირებული მასალების მოძიებას, მომზადებას, მათ დაჯგუფებას, სისტემატიზირებას და დამუშავებას;

შეფასების სისტემა:

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).
შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.
შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც

აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.
შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასებ(ებ)ის ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად არანაკლებ 60 ქულას (60%), ხოლო დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილია - არაუმეტეს 40 ქულა (40%);
ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს მინიმუმ 24 ქულას; შუალედური გამოცდის შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს მინიმუმ 11 ქულას.
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.
დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

შეფასების სისტემა უშვებს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი – 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა:

პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და

ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციოთ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დასაკმაყოფილებლად.

პროგრამის სტრუქტურა, პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის ხელმღვანელის რეზიუმე (CV) თან ერთვის პროგრამას და მისი განუყოფელი ნაწილია (იხ.დანართები).

საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით და სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს ხელშკრულებები და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული შესაბამიი პროფილის ორგანიზაციებთან:

- შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“;
- ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრი „ნდობა“;
- შპს „ფსიქოთერაპიული გეშტალტ კლინიკა“;
- ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაცია;
- შპს „ფსიქოპროექტი“;
- შპს კერძო სკოლა „ინტელექტ-პლიუსი“.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველოფს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- კომპიუტერებით, პროექტორებითა და საპროექციო ეკრანებით, ასევე სხვა სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა;
- ბაზები: Cambridge Journals Online https://www.cambridge.org/core
  e-Duke Journals Scholarly Collection https://read.dukeupress.edu/
  Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books https://www.elgaronline.com/
  IMechE Journals https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE
  Openedition Journals https://www.openedition.org/
  Royal Society Journals Collection https://royalsociety.org/journals/
  SAGE Journals https://journals.sagepub.com
  SAGE APCs for Open Access Journals https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage

საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებულ ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, ინტერნეტ-რესურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო-მეთოდურ მასალას, რომლის შევსება-განახლება ხდება ყოველწლიურად.

დანართები:

- დანართი 1 -პროგრამის სტრუქტურა
- დანართი 2 - ძირითადი სწავლის შედეგების რუქა, სამიზნე ნიშნულები
- დანართი 3 - პროგრამის ხელმძღვანელის CV (resume)
- დანართი 4 - პროგრამის ადამიანური რესურსები
- დანართი 5 - დასაქმების ბაზრის კვლევა